ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# პოლისი

# კომფორტი

VIG

VIENNA INSURANCE GROUP

2 505 111

www.gpih.ge

# სარჩევი


ტერმინთა განმარტებები 1

სადაზღვევო პოლისი - ხელშეკრულების გაფორმების წესი 2

სადაზღვევო დაფარვა 4

სადაზღვევო ანაზღაურება 5

საერთო გამონაკლისები 6

დაზღვევას არ ექვემდებარება 8

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი 9

სადაღვევო ტერიტორია 9

სადაზღვევო პრემია 10

სადაზღვევო პოლისი - ხელშეკრულების მოქმედების ვადა 10

პოლისი - ხელშეკრულების შეწყვეტა 10

რისკის ხარისხის ცვლილება 11

თქვენი მოვალეობები - ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დროს 12

ჩვენი ვალდებულება 13

მესამე პირთა მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე უფლებების გადმოსვლა (სუბროგაცია) 14

ორმაგი დაზღვევა 14

დავების გადაწყვეტა 15

დამატებითი დაფარვა 15

დანართი 16

# პოლისი კომფორტი PC
# სადაზღვევო პოლისი ხელშეკრულება

მზღვეველი: **„სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“**

დამზღვევი: _____ მოსარგებლე: _____

პირადი №: | | |

## პოლისი კომფორტი სტანდარტი

| ბინის ფართი: | ≤120 კვ.მ. | 200 კვ.მ.≤ >120 კვ.მ. | 300 კვ.მ.≤ >200 კვ.მ. |
|---|---|---|---|
| ყოველთვიური პრემია: | 10 ლარი | 20 ლარი | 30 ლარი |
| ანაზღაურების ლიმიტი: | შიდა მოპირკეთებისთვის — 1 კვ.მ-ზე მაქსიმუმ 300 ლარი<br>ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე — მაქსიმუმ 15 000 ლარი | | |

## პოლისი კომფორტი პრემიუმი

| ბინის ფართი: | ≤120 კვ.მ. | 200 კვ.მ.≤>120 კვ.მ. | 300 კვ.მ.≤>200 კვ.მ. |
|---|---|---|---|
| ყოველთვიური პრემია: | 20 ლარი | 30 ლარი | 40 ლარი |
| ანაზღაურების ლიმიტი: | შიდა მოპირკეთებისთვის — 1 კვ.მ-ზე მაქსიმუმ 500 ლარი<br>ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე — მაქსიმუმ 20 000 ლარი<br><br>* იმ შემთხვევაში თუ, დამზღვევი იძულებულია დატოვოს დაზღვეული საცხოვრებელი ფართი და საცხოვრებლად იქირაოს ბინა, რაც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევით, მზღვეველი აანაზღაურებს 3 (სამი) თვის ბინის ქირას, მაგრამ არაუმეტეს 500 აშშ დოლარი ერთ თვეში. | | |

**ფრანშიზა:**

▲ შიდა მოპირკეთების დაზიანების შემთხვევაში — 5% ზარალიდან, მინიმუმ 100 ლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;

▲ ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემთხვევაში — 150 ლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

**დაზღვეული რისკები:**

სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს დაზღვეული ქონებისთვის მიყენებულ ზარალს ან ზიანს თუ ის გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

▲ მეზობელი ფართიდან წყლის შემოსვლა;

▲ კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლა;

▲ ხანძარი, კვამლი და/ან აფეთქება;

▲ სტიქიური უბედურებები;

▲ ქურდობა ძარცვა ყაჩაღობა;

▲ მესამე პირის ვანდალური ქმედება.

## დამატებითი დაფარვა

მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა

**ყოველთვიური პრემია:** 5 ლარი

**ანაზღაურების ლიმიტი:**

მაქსიმუმ 10 000 ლარი ჯამურად, ამასთან:

1. პოლისი კომფორტ სტანდარტი:
   შიდა მოპირკეთებისთვის – 1კვ/მ-ზე – მაქსიმუმ 300 ლარი
2. პოლისი კომფორტ პრემიუმი:
   შიდა მოპირკეთებისთვის – 1კვ/მ-ზე – მაქსიმუმ 500 ლარი

**ფრანშიზა:** 100 ლარი

პოლისი კომფორტის პირობები ითვალისწინებს დამზღვევის ან დაზღვეული ქონების მისამართზე მცხოვრები პირის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების განადგურების/დაზიანებისგან დაზღვევას წინამდებარე პირობებით და მის საფუძველზე გაცემული პოლისით განსაზღვრული პირობებითა და წესით.

# 1. ტერმინთა განმარტებები

დოკუმენტში გამსხვილებული (**BOLD**)ფონტით გამოყოფილ სიტყვებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც ძალაში შესვლისთანავე უფლებას განიჭებთ მოითხოვოთ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის წინამდებარე პირობებისა და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;

1.2. **ჩვენ, მზღვეველი** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი";

1.3. **თქვენ, დამზღვევი** - პირი, რომელიც მითითებულია პოლისში როგორც დამზღვევი და აფორმებს ხელშეკრულებას მზღვეველთან; დამზღვევად შეიძლება განისაზღვროს დაზღვეული ქონების მესაკუთრე, მესაკუთრის მეუღლე, შვილი, შვილისშვილი, და/ძმა; ან დამზღვევად შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი სხვა პირი, თუ დაზღვეული ქონების მესაკუთრის მიერ აღნიშნულის შესახებ არსებობს წერილობითი თანხმობა.

1.4. **მოსარგებლე** - დაზღვეული ქონების მესაკუთრე, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.5. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პოლის-ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევ(ებ)ის დადგომის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.6. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში.

1.7. **დაზღვეული რისკი** - წინამდებარე პირობებით ან პოლისი-ხელშეკრულებით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ქონების დაზიანება/განადგურება, მითითებულია პოლისში და შეიძლება გახდეს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ანაზღაურების გაცემის საფუძველი;

1.8. **დაზღვეული ქონება** - ქონება, რომლის მიმართაც ხორციელდება წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა: დაზღვევა გავრცელდება მხოლოდ შიდა მოპირკეთებასა და შიგთავსზე (ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე);

1.9. **სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეული რისკით გამოწვეული შემთხვევა, რომლიც წინამდებარე პირობებითა და პოლისი-ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება გახდეს დამზღვევის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის მიზეზი;

1.10. **დაზღვევის მოქმედების არეალი** - პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება;

1.11. **ფრანშიზა** - თანხის ოდენობა, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო კომპანიის მიერ და მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში;

1.12. **სადაზღვევო პრემია** - წინამდებარე სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის/სადაზღვევო მომსახურების ღირებულება, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლის-ხელშეკრულებაში;

1.13. **გამომუშავებული პრემია** — პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან.

1.14. **შიგთავსი** (ავეჯი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები) - ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურა, სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები, გათბობა-გაგრილების საშუალებები და მოწყობილობები, გაზის და ელექტრო-ღუმელები, სპორტული მოწყობილობები, გენერატორები, კომპიუტერული ტექნიკა; თმის გამაშრობლები, სამზარეულოს მოწყობილობები - მიქსერები, კომბაინები, მადუღარები;

1.15. **შიდა მოპირკეთება** - კედლების შპალერი და/ან სხვა ტიპის საფარი, დაკიდული ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კარები და/ან მათი საკეტები და მინები;

1.16. **სრული ზარალი** - დაზღვეული ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯი მისი რემონტისთვის და აღდგენისთვის აღემატება მისი რეალური ღირებულების 75%-ს.

# 2. სადაზღვევო პოლისი ხელშეკრულების გაფორმების წესი

2.1. სადაზღვევო **პოლისი-ხელშეკრულება** ფორმდება მასზე **ჩვენი** უფლებამოსილი პირისა და **თქვენი** ხელმოწერის დაფიქსირებით, რომელზეც ასევე დასმული არის **ჩვენი** ბეჭედი;

2.2. **პოლისში** მოცემული ინფორმაციის გარდა, **თქვენ** ვალდებული ხართ, მოგვაწოდოთ ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელსაც აქვს მნიშვნელობა **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის ალბათობისა და შესაძლო ზარალის განსაზღვრისათვის;

2.3. საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის მიხედვით **თქვენ** პასუხისმგებელი ხართ **პოლისი ხელშეკრულებაში** და **ჩვენთვის** მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე;

2.4. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება** შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც გააჩნია დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების ინტერესი კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე (მესაკუთრე, მოიჯარე, დამქირავებელი და ა.შ.).
დაზღვეულ ქონებაზე **თქვენი** ინტერესის არარსებობის შემთხვევაში **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება** ბათილად ჩაითვლება;

2.5. **სადაზღვევო ხელშეკრულების** პირობების ნებისმიერი ცვლილება აისახება **პოლისში** ან შესაბამის დანართში.

2.6. თუ **შიგთავსის** რომელიმე ერთეული ობიექტის ღირებულება აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1—ში მითითებულ ფასწარმოქმნას, ასეთი ობიექტ(ებ)ის ჩამონათვალი მითითებული უნდა იყოს სადაზღვევო **პოლისის** დანართ №2-ში და დამოწმებული იყოს **სადაზღვევო კომპანიის** უფლებამოსილი წარმომადგენლის და **დამზღვევის** მიერ. აღნიშნული **შიგთავსის** ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თითოეული **დასაზღვევი** ერთეულის მოდელის/ მარკის, გამოშვების თარიღისა და ღირებულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **სადაზღვევო კომპანია** უფლებამოსილია უარი თქვას აღნიშნული ობიექტებისათვის **სადაზღვევო ანაზღაურებაზე;**
2.7. იმ შემთხვევაში, თუ **პოლისში** მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ დამზღვევმა ან დაზღვეული ქონების მისამართზე მცხოვრებმა პირმა შეიძინა ავეჯი ან საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ღირებულება აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1—ში

მითითებულ ფასწარმოქმნას და არ არის მითითებული დანართ №2-ში, თუმცა **დამზღვევი ან დაზღვეული**

ქონების მისამართზე მცხოვრები პირი ფლობს დოკუმენტაციას ნივთის კუთვნილების შესახებ (მაგ, საგარანტიო წერილი, მიღება ჩაბარების აქტი) ნივთი ავტომატურად დაზღვეულად ჩაითვლება პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში.
2.8. **მზღვეველისთვის** ინფორმაცია **დაზღვეული** ნივთების შესახებ შესაძლებელია მიწოდებული იქნეს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის ოფიციალურ ვებ გვერდზე https://www.gpih.ge/gpih/comfort/ განთავსებული ელექტრონული დანართის ფორმის საშუალებითაც.

2.9. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით /მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე **დაზღვეული** და **მოსარგებლე** მიმართავენ ა(ა)იპ **"საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" "დაზღვევის მედიაციის"** მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge . "საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" **"დაზღვევის მედიაციის"** პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება "საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" საწევრო შემოსავლებიდან.

# 3. სადაზღვევო დაფარვა

მზღვეველი აანაზღაურებს დაზღვეული ქონების დაზღვეული რისკებით გამოწვეულ ზარალს ან ზიანს:

| ანაზღაურდება | არ ანაზღაურდება |
|---|---|
| • მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება | • დაზღვევის ძალაში შესვლამდე დამდგარი ზარალი ან ზიანი; |
| • კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება; | • ელექტროგაყვანილობის, გათბობის, გაზგაყვანილობის, კანალიზაციის მოხმარების ჩვეულებრივი ნორმების დაუცველობით მიყენებული ზიანი;<br>• ცვეთადი ნაწილების შეცვლის ხარჯები, ისეთი, როგორიცაა: ფილტრები, საფენები, რეზინები, რეზინის მილები, ნათურები, დამცველები, კაბელები და ელექტროსადენები, რომლებიც არ წარმოადგენენ შიდა მოპირკეთების ელემენტებს თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;<br>• ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული ქონების მწყობრიდან გამოსვლით (მათ შორის ელექტროენერგიის ცვალებადობით) მიყენებული ზიანი; |
| • ხანძრით, კვამლით და/ან აფეთქებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება; | • ზარალი ან დაზიანება გამოწვეული დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა თერმული დამუშავების შედეგად;<br>• ასევე არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად; |
| • სტიქიური უბედურებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება, კერძოდ, წვიმა (როდესაც მოსული ნალექის მოცულობა აღემატება 10სმ/24 სთ-ს), სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში. | • ჩვენ არ ავანაზღაურებთ ზარალს, გამოწვეულს დაზღვეულ ფართში ან ნაგებობაში წვიმის, თოვლის და სეტყვის შეღწევისას ღია ფანჯრებიდან, კარებებიდან, ასევე ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარ განზრახულად ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით.<br>• არ ანაზღაურდება აივნისთვის წვიმით, სეტყვით, წყალდიდობით მიყენებული ზიანი ან ზარალი.<br>• მეხის დაცემით გამოწვეული ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება ხანძრის წარმოშობის გარეშე.<br>• იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო სართულზე და მზღვეველმა აანაზღაურა ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო დაზღვეული რისკითა და შენობის სახურავის დაზიანებით, მზღვეველი არ აანაზღაურებს ნებისმიერ მომდევნო ზარალს ან ზიანს, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება. |

| | |
|---|---|
| • ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს დაზღვეულ ფართში შეღწევის კვალი. | • არ ანაზღაურდება ქურდობა ძარცვა ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი თუ დაზღვეული ქონება მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.<br>• არ ანაზღაურდება ზარალი ან ზიანი თუ ქონება დაიკარგა დაუდგენელ ვითარებაში; |
| • მესამე პირის ვანდალური ქმედებით ქონების დაზიანება ან განადგურება (ნებისმიერი პიროვნება, გარდა თქვენი ან მოსარგებლის ოჯახის წევრების და/ან დაზღვეულ საცხოვრებელ ფართში მცხოვრები ნებისმიერი პირი) | |

გთხოვთ, დაწვრილებით გაეცნოთ ზემოთმოყვანილი დაზღვეული რისკების ჩამონათვალს. ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევებისა და მხოლოდ ზემოთმოყვანილი ქონების მიმართ მიყენებულ ზარალს. ამ პირობების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევებად ითვლება მხოლოდ ის მოვლენები, რომელიც დადგა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ და არაუგვიანეს პოლისში მითითებული **სადაზღვევო პერიოდის** დასრულების თარიღისა.

# 4. სადაზღვევო ანაზღაურება

ზარალის სიდიდე განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიისა და დამზღვევის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით.
სადაზღვევო შემთხვევის დასადასტურებლად, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს კომპეტენტური ორგანოების (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის, საქართველოს სახანძრო დეპარტამენტის, საავარიო მომსახურების, პოლიციის, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა) მიერ გაცემული დოკუმენტები.
აღნიშნული დოკუმენტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზარალი.
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს ამ პოლისი-ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.
სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა აღდგენითი ღირებულების შესაბამისად, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში.
აღდგენის ხარჯების გამოთვლისას არ იქნება გათვალისწინებული ქონების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ხარჯები.
სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, ჩვენ დავეყრდნობით სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავეჯის/საყოფაცხოვრებო ტექნიკის საბაზრო ღირებულებას - ამასთან ანაზღაურება თითოეული ერთეული საყოფაცხოვრებო ტექნიკის/ავეჯისათვის არ გადააჭარბებს შესაბამისი ერთეულის რეალურ ღირებულებას და ასევე არ გადააჭარბებს დანართ №1-ში მოცემულ ლიმიტებს.
თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ დამატებით იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც გსურთ, რომ დაექვემდებაროს დაზღვევას და არ არის მითითებული წინამდებარე დანართ №1-ში ან დანართში მითითებული ლიმიტი ნაკლებია დასაზღვევი ობიექტის რეალურ ღირებულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფლება უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან გავცეთ ანაზღაურება წინამდებარე დანართში მითითებული ლიმიტის ფარგლებში შესაბამისი ერთეულისთვის.

4.1. **სრული ზარალის შემთხვევაში** — ქონების აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს **პოლისით** გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხისა** (**პოლისში** მითითებული **ფრანშიზის** გამოკლებით);

4.2. ქონების ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში — მის აღსადგენად/შესაკეთებლად საჭირო დანახარჯებს, მაგრამ არაუმეტეს **პოლისით** გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხისა** (პოლისში მითითებული **ფრანშიზის** გამოკლებით);

4.3. ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, ჩვენი შეხედულებისამებრ გადაგიხდით ქონების აღდგენით ღირებულებას ან ჩავანაცვლებთ დაზიანებულ ან განადგურებულ ქონებას იგივე ტიპის ქონებით ცვეთისა და **ფრანშიზის** გათვალისწინებით;

4.4. აღდგენის დანახარჯები მოიცავს სარემონტო სამუშაოებს (მასალის, ტრანსპორტირებისა და მუშა-ხელის ჩათვლით), სათადარიგო ნაწილებს, ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია უშუალოდ **სადაზღვევო შემთხვევამდე** არსებული მდგომარეობის აღსადგენად;

4.5. დანახარჯები აღდგენაზე არ მოიცავს დამატებით დანახარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ობიექტის რაიმენაირი ცვლილებით ან გაუმჯობესებით;

4.6. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში არსებული საბაზრო ფასების საფუძველზე;

4.7. თუ ზარალის ოდენობა აღემატება 1 500 ლარს, თქვენი კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხას აკლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრემიის გადაუხდელი ნაწილი;

# 5. საერთო გამონაკლისები

**ჩვენ** არ ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც წარმოქმნილია ან უკავშირდება ამ გამონაკლისებში მითითებულ მოვლენებს:

5.1. ომი, შემოჭრა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, აჯანყება, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, ლოქაუტის, სამხედრო ან უზურპირებული ძალის, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით მოქმედი პირის მოქმედება; ნებისმიერი ტერორისტული აქტი;

5.2. კონფისკაცია, რეკვიზიცია, დაპატიმრება ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით **დაზღვეული ქონების** განადგურება;

5.3. **დაზღვეული ქონების** დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება ბუნებრივი პროცესების შედეგად; საყოფაცხოვრებო ტექნიკის ამორტიზაცია, ცვეთა, მიმდინარე რემონტის ხარჯები, კოროზია, ეროზია, ჟანგვა, ნალექების დაგროვება, დანესტიანება;

5.4. მშენებლობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ან მათი ნაწილის ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს არ იქნება გამოწვეული **სადაზღვევო რისკით;**

5.5. ზარალი, რომელიც გამოიწვიეს შინაურმა ცხოველებმა/ფრინველებმა, ქვეწარმავლებმა, მწერებმა, მღრღნელებმა ან სხვა მავნებლებმა ან დადგა შემდგომში, მათი ზემოქმედების შედეგად.

5.6. ზარალი გამოწვეული დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის პროფესიული საქმიანობით;

5.7. ზარალი ან დაზიანება გამოწვეული: ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით;

5.8. ზარალი ან დაზიანება, გამოწვეული **თქვენი** (მოსარგებლის), **თქვენი** ოჯახის წევრების, ასევე პირების, რომლებიც ცხოვრობენ დაზღვეულ ნაგებობაში განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით **დაზღვეული ქონების** მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგში: მათ მიერ **დაზღვეული ქონების** გამოყენება სხვა მიზნით (ვიდრე მითითებულია სადაზღვევო პოლისში) და/ან დადგენილი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის და სახანძრო უსაფრთხოების, სამუშაოების უსაფრთხო ჩატარების, სამშენებლო ნორმების, წესების და ინსტრუქციების დარღვევა ექსპლუატაციის რეგლამენტირების, ელექტრო/გაზის ხელსაწყოების, გასათბობი მოწყობილობების შენახვის პირობების დარღვევა, ასევე დაზღვეული ქონების გამოყენება სხვა მიზნით და ა.შ. .

5.9. საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის დეფექტები ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები;

5.10. ინფორმაციის (მაგ: კომპიუტერის მყარ დისკზე არსებული ინფორმაცია და სხვ) აღდგენის ხარჯები;

5.11. ზარალი ან ზიანი, რომელიც დადგა **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული **სადაზღვევო პერიოდის** დაწყებამდე; ან გამოწვეულია მოვლენით, რომელიც მოხდა **სადაზღვევო პერიოდის** დაწყებამდე.

5.12. ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება **დაზღვეულ ქონებაში** სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის შეკეთებითი სამუშაოების შედეგად;

5.13. მშენებლობის, ნაგებობის ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამოწვეულია მშენებლობის საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით და გამოვლინდა **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას;

5.14. ფანჯრის მინების, სარკეების, ვიტრინების და სხვა შუშის ნაწილების მსხვრევა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ასეთი დაზიანება/მსხვრევა არ არის გამოწვეული **დაზღვეული რისკით;**

5.15. ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება გამოწვეული იმ რისკების შედეგად, რომელიც არ არის მითითებული **დაზღვეული რისკების** ჩამონათვალში;

5.16. **დაზღვეული ქონების** ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა.

5.17. არაპირდაპირი ზიანი, გამოწვეული **დაზღვეული რისკების** შედეგად.

5.18. **დამზღვევის** მხრიდან წინამდებარე პირობებითა და **პოლისი–ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

5.19. **სადაზღვევო შემთხვევის** პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა.

5.20. **სადაზღვევო შემთხვევა**, რომელიც დადგა **დაზღვეული ქონების** 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის დროს.

# 6. დაზღვევას არ ექვემდებარება

6.1. ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;

6.2. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ;

6.3. ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი; ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულის, ზოდის, ქვიშის, თვითნაბადი სახით და ძვირფასი ქვები დამუშავების და მოჭედვის გარეშე; ანტიკვარიატი, მათ შორის ავეჯი, რომლის ასაკი აღემატება 50 წელს, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, და სხვა სახის კოლექცია, ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;

6.4. კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციაო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის  საშუალებები (დისკები, კასეტები, მეხსიერების ბარათები და ა.შ);

6.5. საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები;

6.6. გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

6.7. ცხოველები; ფრინველები; ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები;

6.8. ავტო- სატრანსპორტო საშუალებები;

6.9. ანძები, ანტენები, ღია ელექტრომავთულები, ტენტები და სხვა შენობა/ნაგებობის გარეთა მხარეს მდებარე ქონება (აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება შენობა ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა/გაგრილების სისტემებს)

6.10. კვების პროდუქტები;

6.11. ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის დამზღვევს ან დაზღვეულ მისამართზე მცხოვრებ პირს და არ არის მითითებული პოლისი - ხელშკრულების შესაბამის დანართში;

6.12. დაზღვეულად არ ჩაითვლება ის შენობები და ნაგებობები, ასევე იქ განთავსებული ქონება თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად;

6.13. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით; ავტო-ფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;

6.14. მხატვრულად დამუშავებული მინები;

6.15. საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელთა ასაკი აღემატება 8 წელს;

6.16. ქონება რომელიც განთავსებულია შენობაში, რომლის წლოვანება აღემატება 55 წელს. (გარდა შემთხვევებისა, როდესაც **სადაზღვევო პოლისში** მითითებულია სპეციალური კომენტარში ამის შესახებ);

# 7. სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი

თუ **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ ზარალის ანაზღაურება, ანაზღაურების ჯამური ლიმიტი შემცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. ანაზღაურების ლიმიტი ითვლება შემცირებულად **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დღიდან.

# 8. სადაზღვევო ტერიტორია

ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მხოლოდ **სადაზღვევო პოლისში** მითითებულ მისამართზე (სადაზღვევო ტერიტორიაზე) განლაგებულ ნაგებობებში (საცხოვრებელ სახლებში). დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების შემთხვევაში სადაზღვევო ხელშეკრულება აღარ იმოქმედებს.

# 9. სადაზღვევო პრემია

9.1. **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;
9.2. თუ პრემიის გადახდის ვადას გადააცილებთ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, **ჩვენ** უფლება გვაქვს შევაჩეროთ **სადაზღვევო ხელშეკრულების** მოქმედება **დამზღვევისათვის** შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ ავანაზღაუროთ მომხდარი **სადაზღვევო შემთხვევები**. ხოლო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ უფლება გვაქვს გავაუქმოთ **დაზღვევის ხელშეკრულება** ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.
9.3. **სადაზღვევო ხელშეკრულების** გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი **სადაზღვევო შემთხვევები** ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

# 10. სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების** ვადა მითითებულია **პოლისში**;

10.2. სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის **სადაზღვევო პრემიის** პირველი შენატანის (განვადების შემთხვევაში), ან მთლიანი თანხის გადახდისას, მაგრამ არა **პოლისში** მითითებული **დაზღვევის პერიოდის** დაწყების თარიღის 24:00 საათზე ადრე.

# 11. პოლისი- ხელშეკრულების შეწყვეტა

სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

11.1. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების** მოქმედების ვადის ამოწურვისას;

11.2. დაზღვეული ქონება აღარ არსებობს **სადაზღვევო შემთხვევისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით;

11.3. **თქვენ** განზრახ გამოიწვიეთ საფრთხის გაზრდა ან დროულად არ შეგვატყობინეთ საფრთხის გაზრდის შესახებ;

11.4. **თქვენს** მიერ დამალულია, ან არასწორადაა მოწოდებული, ან მოწოდებულია გაყალბებული ინფორმაცია — ასეთ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე;**

11.5. **ჩვენი** მხრიდან **თქვენს** მიმართ მთლიანი ვალდებულების შესრულებისას (ვალდებულების შესრულების მომენტიდან);

11.6. **დამზღვევის** გარდაცვალებისას,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **დაზღვეულ** ქონებაზე საკუთრების უფლება გადადის სხვა პირზე;

11.7. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

11.8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

11.9. **თქვენ** ან **მოსარგებლეს** გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს განაცხადოთ უარი **სადაზღვევო პოლის**-ხელშეკრულებაზე. უარის შესახებ უნდა შეგვატყობინოთ წერილობით გაუქმებამდე 30 დღით ადრე. **თქვენ** დაგიბრუნდებათ პოლისი-ხელშეკრულების ვადის შეწყვეტის მომენტისათვის არსებული გამოუმუშავებელი პრემია პროპორციულად, ერთი თვის შესაბამისი პრემიის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში **თქვენ** აგინაზღაურდათ ზარალი, დაზღვევის გაუქმებისას პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;

11.10. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს ვადამდე **ჩვენი** მოთხოვნით, ამასთან ჩვენ დაგიბრუნებთ **თქვენ სადაზღვევო პრემიას**, რომელიც პროპორციულად შეესაბამება **პოლისი-ხელშეკრულების** მოქმედების დარჩენილ პერიოდს. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ, **ჩვენ** უნდა შეგატყობინოთ **პოლისი-ხელშეკრულების ამოწურვის ვადამდე** 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ არღვევთ ხელშეკრულების პირობებს ან მოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, დაზღვევის გაუქმებისას **პრემია** დაბრუნებას არ ექვემდებარება.

# 12. რისკის ხარისხის ცვლილება

12.1. **სადაზღვევო ხელშეკრულების** მოქმედებისას **თქვენ და/ან მოსარგებლე** ვალდებულნი ხართ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ გარემოებათა ნებისმიერი ისეთი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს რისკის ხარისხზე, მაგალითად:
**დაზღვეული ქონების** გადაცემა იჯარით/გაქირავებით ან გირაოთი, უფლებების გადასვლა სხვა პირზე, კანონით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, **დაზღვეული ქონების** მნიშვნელოვანი დაზიანება ან განადგურება, დამოუკიდებლად იმისა, ექვემდებარება თუ არა მიღებული ზარალი ანაზღაურებას ამ პოლისის მიხედვით, **სადაზღვევო პოლისში** მითითებული ქონების გამოყენების მიზნის შეცვლა, შენობების (ნაგებობების) დანგრევა, კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია ან გადაიარაღება;
**თქვენი** ან **მოსარგებლის** მიერ წინამდებარე პუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, **ჩვენ** უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე და მოვითხოვოთ **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტა;

12.2. **სადაზღვევო რისკის** გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ **პოლისი ხელშეკრულების** პირობების შეცვლა ან გაზრდილი რისკის შესაბამისი დამატებითი პრემიის გადახდა; თუ **თქვენ ან მოსარგებლე** უარს აცხადებთ ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე, **სადაზღვევო ხელშეკრულება** წყვეტს მოქმედებას რისკის გაზრდის მომენტიდან;

12.3. დამოუკიდებლად იმისა, მოხდა თუ არა რისკის ხარისხის გაზრდა, ჩვენ გვაქვს უფლება დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევამოწმოთ **დაზღვეული ქონების** მდგომარეობა და ღირებულება, ასევე **თქვენს** მიერ მოწოდებული ინფორ-მაციის უტყუარობა.

# 13. თქვენი მოვალეობები - ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დროს

13.1. დაუყონებლივ შეგვატყობინეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ჩვენს 24 საათიან ცხელ ხაზზე 2 505 111, რათა გაგიწიოთ შესაბამისი დახმარება და კონსულტაცია. აღნიშნული შეტყობინება წერილობით უნდა იყოს დადასტურებული **სადაზ-ღვევო შემთხვევის** დაფიქსირებიდან 5 სამუშაო დღის  განმავლობაში;

13.2. ჯეროვნად შეასრულეთ **ჩვენი** წარმომადგენლის მითითებები დამდ-გარ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით;

13.3. გამოიძახეთ საპატრულო პოლი-ცია მესამე პირთა ვანდალური, ქურდობის, ძარცვის, გატაცების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში დაზღვეული ქონების მიმართ;

13.4. მიიღეთ გონივრული და ხელმის-აწვდომი ზომები **სადაზღვევო შემთხ-ვევის** დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით; არ გასწიოთ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავ-შირებული რაიმე ხარჯები **ჩვენი** თანხმობის გარეშე;

13.5. შეინარჩუნოთ დაზიანებული ქონება **ჩვენი** წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩენილ იქნა **სადაზღვევო შემთხ-ვევის** შემდგომ, რათა მოგვცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დავათვალიეროთ და გამოვიკვლიოთ დაზიანებული დაზღვეული ქონება, გამოვიძიოთ მიზეზები და ზარალის სიდიდე;

13.6. სპეციფიკიდან გამომდინარე **თქვენ** მოითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ოფიციალური წყაროებიდან **სადაზ-ღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით (პოლიცია, სახანძრო, მეტეოროლოგი-ური სამსახური და ა.შ.)

13.7. იმ შემთხვევაში თუ **თქვენ** არ ასრულებთ ზემოთმოყვანილ პირობებს, ჩვენ უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ ზარალი;

13.8. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო

სართულზე და **მზღვეველმა** აანაზღაურა ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო **დაზღვეული რისკითა** და შენობის სახურავის დაზიანებით, **მზღვეველი** არ აანაზღაურებს ნებისმიერ მომდევნო ზარალს ან ზიანს, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება. ასეთ შემთხვევაში **დამზღვევი** ვალდებულია შეატყობინოს **მზღვეველს** სახურავის შეკეთების შესახებ. შეტყობინების მიღების შემდეგ, **მზღვეველი** უფლებამოსილია შეამოწმოს შეკეთებული სახურავის მდგომარეობა;

13.9. პუნქტ 13-ში მითითებული მოვალეობები ვრცელდება ასევე **მოსარგებლეზე**, რომლისთვისაც ცნობილია მის სასარგებლოდ **სადაზღვევო ხელშეკრულების** დადების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ჩვენ** გვაქვს **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** უარის თქმის უფლება.

# 14. ჩვენი ვალდებულება:

14.1. შევისწავლოთ **დაზღვეული** ქონების განადგურების/დაზიანების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ რაც თქვენგან მივიღებთ შეტყობინებას.

14.2. დაზღვეული ქონების დათვალიერების შემდეგ **მზღვეველი** უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

14.3. **დამზღვევის** მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, **მზღვეველი** ვალდებულია განახორციელოს ზარალის შეფასება.

14.4. ზარალის ანაზღაურება მოხდება ორივე მხარის  მიერ დარეგულირების აქტზე  ხელმოწერიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.
- ზარალის ანაზღაურების მიზნით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დაზიანებული ქონების აღდგენა/შეკეთება/ჩანაცვლების ხარჯი გადავრიცხოთ პირდაპირ იმ შეთანხმებულ სარემონტო კომპანიის ანგარიშზე, საიდანაც წარმოდგენილი იქნება დამდგარი ზარალის კალკულაცია (გამოკლებული იქნება პოლისში აღნიშნული **ფრანშიზა** და გადაუხდელი პრემია);

- იმ შემთხვევაში თუ **სადაზღვევო** ანაზღაურების მიმღები არის **მოსარგებლე, სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობა შემციდება **ფრანშიზის**, გადაუხდელი პრემიის და დღგ-ს გათვალისწინებით;

14.5. იმ შემთხვევაში თუ პირობების თანახმად შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, წერილობით შეგატყობინოთ უარი **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით 1 (ერთი) თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ცნობილია შემთხვევის ყველა გარემოება.

14.6. **ჩვენ** შეგვიძლია სადაზღვევო ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:
• არსებობს საფუძვლიანი ეჭვი **თქვენი** ან **მოსარგებლის** უფლებამოსილებაზე

მიიღოთ სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო შემთხვევის რისკებთან შესაბამისობაზე და მის ნამდვილობაზე. ანაზღაურების ვადა აღნიშნულ შემთხვევაში გადაიწევს, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზღვეულ ქონებაში **თქვენს** ან მოსარგებლის ინტერესს;

• შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე **სადაზღვევო შემთხვევაზე.**

# 15. მესამე პირთა მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე უფლებების გადმოსვლა (სუბროგაცია)

**ჩვენს** მიერ ზარალის ანაზღაურების შემდეგ გადახდილი თანხების ფარგლებში **ჩვენზე** გადმოდის მოთხოვნის უფლება, რომელიც **თქვენ** გაქვთ ზარალზე პასუხისმგებელ მესამე პირთა მიმართ. ასეთ შემთხვევაში **თქვენ** ვალდებული ხართ სრულად ითანამშრომლოთ **ჩვენთან** ამ უფლების გადმოსაცემად, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** და მოვითხოვოთ ზარალის სახით გადახდილი თანხების უკან დაბრუნება.

# 16. ორმაგი დაზღვევა

**16.1 თქვენ** და **მოსარგებლე** ვალდებულნი ხართ წერილობით შეგვატყობინოთ ყველა **სადაზღვევო ხელშეკრულების** შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვეულ ქონებაზე სხვა სადაზღვევო კომპანიებთან. ამასთან **თქვენ ვალდებულნი** ხართ მიუთითოთ სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ქონება, **სადაზღვევო რისკები** და სადაზღვევო თანხების სიდიდე;
16.2 თუ **სადაზღვევო** შემთხვევის მომენტში დაზღვეულ ქონებაზე მოქმედებდა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ **ჩვენ** ვიხდით თანხას, რომელიც პროპორციულია **ჩვენს** მიერ დადებული ხელშეკრულების **სადაზღვევო თანხისა** და ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების საერთო თანხას შორის.

# 17. დავების გადაწყვეტა

სადაზღვევო ხელშეკრულებათან დაკავშირებული უთანხმოებანი, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას, საქმე გადაეცემა გასარჩევად საქართველოს სასამართლოს (საარბიტრაჟო სასამართლოს), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

# 18. დამატებითი დაფარვა

მესამე პირთა მიმართ წარმოქმინილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა: **დამზღვევის** მიერ დაზღვეული ქონების არასათანადოდ ან/და დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად წარმოქმნილი ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირთა ქონებას.

მზღვეველის პასუხისმგებლობა მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამის **პოლისში** მითითებული ლიმიტის/ **სადაზღვევო თანხის** ფარგლებში.

მე-18 პარაგრაფისათვის გამონაკლისს წარმოადგენს მესამე მხარისათვის მიყენებული:

- ზიანი იჯარით, გიაროთი, ლიზინგით აგებული და/ან ნაქირავები ქონებისათვის;
- ზიანი, გათვალისწინებული რაიმე სხვა ხელშეკრულებით, ნებისმიერი სახის ჯარიმა;
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- ავეჯის/ქონებისათვის, რომლის წლოვანებაც აღემატება 50 წელს.

# დანართი 1

დანართი წარმოადგენს პოლისი „კომფორტი“-ს განუყოფელ ნაწილს

| ავეჯისა და საყ. ტექნიკის ჩამონათვალი | ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი |
|---|---|
| **მისაღები ოთახი და სამზარეულო** | |
| ტელევიზორი | 1 200 ლარი |
| სამეული ავეჯი | 3 000 ლარი |
| კომპიუტერი | 1 000 ლარი |
| კედლის კარადა | 1 500 ლარი |
| მაგიდა | 1 000 ლარი |
| დივანი | 800 ლარი |
| წიგნების თაროები | 600 ლარი |
| სამზარეულოს კარადა | 2 500 ლარი |
| გაზქურა/ გამწოვი | 1 500 ლარი |
| მაცივარი | 1 500 ლარი |
| სტაციონარული სარკე | 1 000 ლარი |
| აუდიო ტექნიკა | 1 000 ლარი (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე) |
| ფოტოაპარატი | 700 ლარი |
| ლეპტოპი | 1 000 ლარი |
| **საძინებელი ოთახი** | |
| საძინებლის კარადა | 1 300 ლარი |
| საძინებლის საწოლი | 1 500 ლარი |
| კომბო | 800 ლარი |

| | |
|---|---|
| აბაზანის მოწყობილობები | |
| სარეცხი მანქანა | 800 ლარი |
| საშხაპე | 800 ლარი |
| აბაზანის სხვა ინვენტარი | 500 ლარი |
| **სხვა** | **სხვა** |
| ჭაღები და განათების სისტემები | 1500 ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| ხალიჩები და ფარდები | 2 000 ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| მიქსერები/ ბლენდერები/ მიკროტალღური ღუმელები | 1 000 ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები/ ყავის აპარატები | 1 000 ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| სკამები | 1 500 ლარი (ერთ ერთელზე მაქსიმუმ 200 ლარი) |
| გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები) | 3 000 ლარი (ერთი რადიატორი მაქსიმუმ 500 ლარი) |
| კონდიციონერი | 800 ლარი |
| უთო /თმის საშრობი | 600 ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 300 ლარი) |
| მტვერსასრუტი | 600 ლარი |

ავეჯის და ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით წინამდებარე დანართში მითითებულ ფასწარმოქმნას, თუმცა არ ავანაზღაურებთ დაზიანებული ტექნიკის/ავეჯის საბაზრო ღირებულებაზე მეტს სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის.

თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ დამატებით იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც გსურთ, რომ დაექვემდებაროს დაზღვევას და არ არის მითითებული წინამდებარე დანართში ან დანართში მითითებული ლიმიტი ნაკლებია დასაზ-ღვევი ობიექტის რეალურ ღირებულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფლება უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან გავცეთ ანაზღაურება წინამდებარე დანართში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.

გმადლობთ, რომ აირჩიეთ სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის მომსახურება. თქვენს კომფორტსა და ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნავს ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია – ვენის სადაზღვევო ჯგუფი.

## სადაზღვევო პრემიის გადახდა

სადაზღვევო პრემიის გადახდა შესაძლებელია თბილისში მდებარე ჯიპიაი ჰოლდინგის ოფისებში: კოსტავას 67 და ჭავჭავაძის 2. ან სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით: TBC Pay, PayBox-ის საშუალებით.

## სადაზღვევო შემთხვევის დროს

დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე **2 505 111**. შეტყობინების მიღებისთანავე ჩვენი ანაზღაურების მენეჯერი მოვა შემთხვევის ადგილზე ან გაგიწევთ შესაბამის რეკომენდაციებს.

## ინფორმაცია

დაზღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვით მოგვმართეთ **info@gpih.ge** ან დაგვირეკეთ **2 505 111**

## ცვლილებები თქვენს პოლისში

პოლისში რაიმე ტიპის ცვლილების განსახორციელებლად (მაგ. დაზღვეული ქონების გასხვისების, დროებით ან მუდმივ სარგებლობაში გადაცემის ან სხვა შემთხვევაში) აუცილებლად დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **2 505 111**.